ახალგაზრდების მხარდამჭერი სტრუქტურების დახმარება

საკოორდინაციო შეხვედრების გამართვა ახალგაზრდულ სტრუქტურებს შორის როგორც მუნიციპალურ, ასევე ეროვნულ დონეზე.

შეზღუდული შესაძლებლობების კომპონენტი მხარდაჭერილია ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაცია "ანიკა"-ს მეშვეობით.

WORLD VISION საქართველო
პროგრამის ოფისი

აღმაშენებლის ქ. 61, თბილისი

ირაკლი გიორბელიძე,
პროექტის კოორდინატორი საქართველოში

ტელ.: (+995) 557 67 97 19

E-mail: Irakli_Giorbelidze@wvi.org

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Youth

SKILLS FOR JOBS

კომპეტენციები დასაქმებისთვის

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ასოციაცია ანიკა
ASSOCIATION ANIKA

Global Developments Fund

World Vision

პროგრამის მიმოხილვა

ხანგრძლივობა: 15/02/2018 – 15/02/2021 (36 თვე)

ლოკაცია: სომხეთი და საქართველო. საქართველოში აქტივობები განხორციელდება სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

განმახორციელებელი: World Vision, "გლობალური განვითარების" ფონდი (სომხ.), ასოციაცია "ანიკა" (საქ.) და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

კომპეტენციები დასაქმებისთვის

პროექტის სამიზნე ჯგუფია 15-დან 35 წლის, განსაკუთრებით მოწყვლადი, ახალგაზრდები.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის ზრდა დასაქმებასა და განათლებაზე.

ქმედებები მოკლედ:

- **ახალგაზრდების ხელშეწყობა დასაქმების უნარების განვითარებაში.**

SKYE (უნარ-ჩვევები და ცოდნა ახალგაზრდობის ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის) მოდელი ეხმარება ახალგაზრდებს ისეთი უნარ-ჩვევების, ქცევების და თემის განვითარებაში მონაწილეობისათვის, რომელიც აუცილებელია მდგრადი საარსებო საშუალებების მოპოვებისა და თემში კონსტრუქციული მონაწილეობისთვის.

SKYE კლუბი, როგორც წესი, შედგება დაახლოებით 20-25 ახალგაზრდისგან (18-26 წლის). მას ხელმძღვანელობენ SKYE კლუბის მოხალისე ლიდერები თემში. ლიდერები იყენებენ გამოცდილებითი სწავლების მეთოდოლოგიაზე დამყარებულ კურიკულუმს, რათა დაეხმარონ კლუბის წევრებს განივითარონ კომპეტენციები აქტიური მოქალაქეობის, ლიდერობის, დასაქმების და მეწარმეობის სფეროებში.

პროექტის ფარგლებში 320 ახალგაზრდა გაივლის SKYE -ის პროგრამას.

- **დაჩქარებული სწავლება (Catch-up) პროგრამა სკოლიდან გასული მოსწავლეებისთვის**

Catch-up სტრატეგიის შემუშავება და პილოტირება მოხდება საქართველოს რეგიონებში მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების რისკების შემცირების მიზნით.

- **საჭიროებებსა და უნარებზე დაფუძნებული ინკლუზიური პროფესიული (VET) განათლების პროგრამები**

პროექტი შეიმუშავებს სამუშაო ადგილზე სწავლების (WBL) ინსტრუმენტს აგრარული და აგროტურიზმის სამ სპეციალობაში. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შეიქმნება ელექტრონული სასწავლო პროგრამები, როგორც აგრარული და აგროტურიზმის სექტორის ფორმალური და არაფორმალური, საგანმანათლებლო პროგრამების დამატებითი ინსტრუმენტი.

განხორციელდება შესაძლებლობების განვითარების პროგრამები აგრარული სექტორის VET მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული ორიენტაციისა და საკონსულტაციო მენეჯერების / სპეციალისტებისათვის.

ასევე, ჩატარდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები პროფესიული განათლების შესაძლებლობების ხელშესაწყობად, დაუცველი ახალგაზრდა ბიჭებისა და გოგონებისთვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში.